# მესტია

## წარმატებული ინვესტიცია მთებში

## მესტიის მუნიციპალიტეტის

## საინვესტიციო პროფილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

**Swiss Agency for Development and Cooperation SDC**

With funding from

Austrian Development Cooperation

UNDP

საინვესტიციო პროფილი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 (FRLD 2)” ფარგლებში, კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს (LDA Georgia) მონაწილეობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

LDA GEORGIA

AYEG
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

# მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია, რომლის მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა წარმოადგენს.

ჩვენი მიზანია ინვესტორებისთვის მოსახერხებელი და ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ამ მიზნის მიღწევის საქმეში მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია საქართველოს, როგორც პოლიტიკურად სტაბილური და დემოკრატიული ქვეყნის მაღალი რეპუტაცია; ბიზნეს წრეების ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომითა და კერძო სექტორის მიმართ მყარი ვალდებულებებით გამორჩეული მთავრობა. წარმატებული ბიზნეს საქმიანობის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მესტიის მუნიციპალიტეტი (ზემო სვანეთი) გამოირჩევა მაღალი ცნობადობით, უნიკალური ბუნებით, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოთი და კარგი კლიმატით, რაც მწვანე ეკონომიკის შექმნის საფუძველია. იგი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ჰიდროენერგეტიკულ წყაროს წარმოადგენს. მდინარე ენგურზე მდებარეობს ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტოსადგური „ენგურჰესი". ეტაპობრივად მიმდინარეობს მცირე და საშუალო ზომის ჰესების მშენებლობა.მესტიის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია გეოგრაფიული მდებარეობით, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით, შენარჩუნებული ბუნებრივი ეკოსისტემით. იგი საქართველოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 1,500 მ-ზე მდებარეობს. მისი ფართობი 304,5 ათ ჰა-ს შეადგენს. აქედან 30,9% სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ხოლო 46% ტყეს უკავია. მუნიციპალიტეტი საქართველოში ყველაზე მაღალმთიან კუთხეს წარმოადგენს. ადმინისტრაციულ ერთეულში 200-მდე მყინვარია. მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალს ზრდის დ. მესტიაში აეროპორტის არსებობა.

მესტიის მუნიციპალიტეტს თავისი უნიკალური და ულამაზესი ბუნებით, მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით, უაღრესად სტუმართმოყვარე მოსახლეობითა და თვითმყოფადი კულტურით, უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. უშგულის თემის სოფელი ჩაჟაში 1996 წელს შეტანილი იქნა UNESCO -ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ბიზნესის წახალისებისა და ინვესტიციების მოზიდვის საქმეში მთავარ როლს ასრულებს საქმიანი კლიმატის გაუმჯობესებაზე მიმართული რეგულაციები, კორუფციისაგან თავისუფალი გარემო და ინვესტირებისთვის ხელსაყრელი საგადასახადო პოლიტიკა. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში განსაზღვრავს ბიზნეს სექტორისათვის მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს. მესტიის მუნიციპალიტეტი ცნობილია, როგორც თანამედროვე და უსაფრთხო რეგიონი, სადაც ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ჯანდაცვა, განათლება, სავაჭრო, გასართობი და სპორტული ინფრასტრუქტურა. აღნიშნული უპირატესობები და მესტიის მუნიციპალიტეტის მმართველი ორგანოების სისტემური ზრუნვა ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე იდეალურ პირობების ქმნის ინვესტირებისათვის, რისი ნათელი მაგალითია ტერიტორიულ ერთეულში უცხოური ინვესტიციებით მშენებარე 17 მცირე და საშუალო ზომის ჰესი.

კაპიტონ ჟორჟოლიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

# ინვესტიციების განხორციელების 11 ძირითადი გარემოება

## რატომ მესტიის მუნიციპალიტეტი

1 უნიკალური და ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი გარემო, ჯანსაღი ეკოსისტემა და გამორჩეული მწვერვალები;

2 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიმრავლე და ჰარმონიული შერწყმა ლანდშაფტთან;

3 განსაკუთრებული ისტორია და ტრადიციები; მდიდარი ფოლკლორი და ჰიმნოგრაფია;

4 მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული რესურსი და მისი საინვესტიციო პოტენციალი;

5 მინერალური წყლების სიუხვე და სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტების შექმნის შესაძლებლობა;

6 ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისთვის უნიკალური გარემო, რაც აგრო ტურიზმის განვითარების საფუძველს ქმნის;

7 UNESCO -ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი უშგულის თემის სოფელი ჩაჟაში;

8 მეკლდეურობის, ალპინიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის ტრადიციები და განვითარებული ინფრასტრუქტურა;

9 ადგილზე აეროპორტის არსებობა და გაზრდილი წვდომა სარეალიზაციო ბაზრებზე;

10 მაღალმთიანი დასახლებებისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა;

11 გადამამუშავებელი  და უნარჩენო წარმოების განვითარების პოტენციალი.



# ისტორია და მდიდარი ტრადიციები

- ლეგენდა „არგონავტებისა“ და „ოქროს საწმისის“ შესახებ;
- აღმოჩენილია  გვიანი ბრინჯაოს ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარები, გვიანი ანტიკური ხანის კერამიკული ქურის, რკინის მეტალურგიული საწარმოს  და ანტიკური ხანის მინის საწარმოს ნაშთები;
- IX-XII საუკუნეში აგებული სვანური კოშკები და სახლები, რომლებიც ჰარმონიულად არის შერწყმული ულამაზეს ბუნებასთან;
- 1961-1978 წლები - აშენდა უდიდესი ჰესი ამიერკავკასიაში;
- 1996 წელი - ისტორიული სოფელი ჩაჟაში შეტანილი იქნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში;
- ერთადერთი მხარე საქართველოში, სადაც ეკლესიების გარე ფასადზე ფრესკებია გამოსახული;
- მესტიის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი თავის უნიკალური და მდიდარი ექსპონატებით შეტანილია ევროპის საუკეთესო მუზეუმთა ათეულში;
- 2016 წელი - თეთნულდის სათხილამურო ტრასის მშენებლობა. ტრასა ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი - 9,5 კმ. და ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის მქონეა - 1,7 კმ. სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე ჯამში 30 კილომეტრია.

## მუნიციპალიტეტის ზოგადი მახასიათებლები

**მოსახლეობის მუნიციპალიტეტში დაბრუნების ტენდენცია და ახალი შესაძლებლობები**

მოსახლეობის რაოდენობა **9,5** ათასი კაცი

ქალი - **49,9%**
კაცი - **50,1%**
ახალგაზრდები **- (<29) 35 %**

## მუნიციპალიტეტის რუკა




ფართობი - **304,500** ჰა

## გეოგრაფია და კლიმატი

- კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 1 500 მ-ზე მდებარეობს;
- დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო ჰავა;
- გამოიყოფა 5 კლიმატური ზონა: ყველაზე დაბალი - ზღვის დონიდან 500-900 მ სიმაღლეზე მდებარე ტერიტორიისთვის, ყველაზე მაღალი - 3 000-5 000 მ-ზე მდებარე ტერიტორიებისთვის;
- საშუალო წლიური ტემპერატურა - +5,7$^{0}$C, ყველაზე ცივი იანვრის თვის საშუალო -6,5$^{0}$C, ყველაზე ცხელი ივლისის თვის საშუალო +16,5$^{0}$C-ია;
- დამახასიათებელია ხანმოკლე და გრილი ზაფხული, ზამთარი 6 თვე გრძელდება და თოვლის საფარი 2-2,5 მ-მდე აღწევს.

## ადგილმდებარეობა და ბაზარზე წვდომა

- ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილი საავტომობილო მაგისტრალი
- დედაქალაქი - 477 კმ
- რკინიგზა - ზუგდიდი 138 კმ
- ქუთაისი 221კმ; ბათუმი 266კმ;
- მსხვილი სავაჭრო ცენტრები: ზუგდიდი, ქუთაისი, ბათუმი
- პორტი - ფოთი 226კმ

## ადგილმდებარეობის უპირატესობები

მუნიციპალიტეტის დასახლებები რეგიონის ცენტრთან დაკავშირებულია გამართული საგზაო ინფრასტრუქტურით;

დაბა მესტიაში არის მოქმედი აეროპორტი

მუნიციპალიტეტში არის 2 სამთო-სათხილამურო კურორტი, დაბის ცენტრიდან მხოლოდ 8 კმ.-ითა და 15კმ.-ით დაშორებული.

## განათლება

ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება და თანამედროვე, სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
განახლებული ბიბლიოთეკა და წიგნადი ფონდი;
აქცენტს ვაკეთებთ ტრადიციების შენარჩუნებაზე (ფუნქციონირებს ხატწერის სკოლა);

- ფუნქციონირებს პროფესიული კოლეჯი, რომელიც ინტეგრირებულია საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში;
- მუდმივად მიმდინარეობს გადამზადება მოთხოვნად სპეციალობებში (გიდი, სასტუმროს მართვა მზარეული, სარესტორნო საქმე, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბუღალტერი, ელექტრიკოსი და სხვა);
- კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო სახელოსნოებითა და ლაბორატორიებით;
- მოწყობილია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.

## ჯანდაცვა

ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება ხარისხისა და სერვისების მრავალფეროვნების მუდმივი ზრდით;
უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურებაზე ოპტიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;

- ფუნქციონირებს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება“
- საგანგებო სიტუაციების მართვისა და კოორდინაციის ცენტრის რაიონული სამსახური
- 14 სამედიცინო ამბულატორია.

## ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში გამავალი ცენტრალური გზის ძირითადი ნაწილი მოწესრიგებულია;
მუდმივად უმჯობესდება შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა დაბასა და სასოფლო ტიპის დასახლებებში.

- სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების ცენტრალური ქსელები სრულად გამართულია დაბა მესტიაში, ეცერისა და უშგულის ტერიტორიულ ერთეულებში
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება
- დამთავრებული და ექსპლოატაციაში მიღებულია 4 ჰიდროელექტროსადგური საერთო სიმძლავრით 68,53 მგვტ.
- მიმდინარეობს 6 (31 მგვტ სიმძლავრე) და დაგეგმილია 5 (297 მგვტ სიმძლავრე) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

## მიწის აქტივი და გამოყენების პოტენციალი

მუნიციპალიტეტის ფართობის (304,5 ათასი ჰა.) 45% ტყის მასივს უკავია

ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებისა და გადამუშავების პოტენციალი;

სამკურნალო მცენარეების მოყვანისა და გადამუშავების რესურსი.

უნიკალური შესაძლებლობაა იწარმოოს ბიოლოგიურად სუფთა, სერტიფიცირებული პროდუქტები;

მუნიციპალიტეტი მდიდარია საძოვარი ფართობებით, რამაც მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად ჩამოაყალიბა;

ყველაზე მეტად გავრცელებული და მაღალი ხარისხით გამორჩეულია კარტოფილისა და ლობიოს კულტურა

ტრადიციული პროდუქცია მარცვლოვანი მცენარე -ფეტვი

პერსპექტიულია სამაცივრე და შემნახველი მეურნეობების ჩამოყალიბება







- არასასოფლო-სამეურნეო **59%**
- სასოფლო-სამეურნეო **41%**

- საძოვრები მთის იალაღებზე 96%
- სახნავ-სათესი 1%
- სათიბები 2%
- საკარმიდამო 1%

## ბუნებრივი რესურსები

მუნიციპალიტეტში ასათვისებელია
წიაღისეული და ბუნებრივი რესურსი

მუნიციპალიტეტი მდიდარია ჰიდრო რესურსით,
რაც იძლევა ჰესების მშენებლობაში
ინვესტირების შესაძლებლობას

მინერალური წყლების ბაზის გამოყენებით
შესაძლებელია სამკურნალო-ბალნეოლოგიური
დარგის განვითარება

| ბუნებრივი რესურსი | მარაგის ოდენობა |
|---|---|
| გაბროდიაბაზი | 2,992 $m^3$ |
| კირქვა | 100,800 $m^3$ |
| მაგნური ქანები (ბაზალტი) | 12,100 $m^3$ |
| ქვა-ღორღი | 525,600 $m^3$ |
| მიწისქვეშა მტკნარი წყალი | 18,425 $m^3$ |

## მესტიის ტურისტული პოტენციალი

უწყვეტი ტურისტული სეზონი და მრავალფეროვანი ტურისტული შესაძლებლობები;

აგრო ტურიზმის განვითარების აუთვისებელი პოტენციალი; პანორამული გადასახედები და უნიკალური ბუნება;

უხვადაა ბუნების ძეგლები: ტბები, ჩანჩქერები, მყინვარები და სხვა. მოწყობილია 25-მდე საფეხმავლო ბილიკი;

## სამთო ტურიზმი

ფუნქციონირებს „ჰაწვალისა“ და „თეთნულდის“ სამთო სათხილამურო კურორტები

ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი და ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის მქონე ტრასა

## ეთნოგრაფიული ტურიზმი

გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიუხვითა და განსხვავებულობით;

ტაძრები, სვანური კოშკები, სვანური სახლის კომპლექსები, მუზეუმი ღია ცის ქვეშ (უშგული), სახლ-მუზეუმები და სხვა.

## ბალნეოლოგიური-რეკრეაციული ტურიზმი

მუნიციპალიტეტის მდებარეობა იძლევა ტურისტულ-სარეკრეაციო პარკების მოწყობისა და განვითარების უნიკალურ გარემოს;

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ხელს უწყობს ახალი საკურორტო ზონების შექმნას;

მუავე წყლების ბაზა მუნიციპალიტეტში ბალნეოლოგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს ქმნის.

## ბიზნესის ხელშემწყობი გარემო

- საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ჩარჩო;
- ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების მარტივი პროცედურები;
- ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის მოხერხებული პირობები;
- სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული სერვისების
- ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა.

## დაბალი დანახარჯები ბიზნესისთვის

- ადვილად ადმინისტრირებადი საგადასახადო სისტემა და დავების მოგვარების მოქნილი სტრუქტურა;
- ბიზნესის დაწყების სიმარტივე;
- უძრავი ქონების ხელსაყრელი ფასები;

## მიმდინარე და დაგეგმილი მსხვილი პროექტები

- მუნიციპალიტეტში ხელი ეწყობა ენერგო რესურსის მდგრად გამოყენებას

  ჰესების მშენებლობა - მიმდინარეობს და დაგეგმილია მცირე და დიდი ზომის ჰესების მშენებლობა. სავარაუდო სიმძლავრე - 1 070 მგვტ. საშუალო წლიური გამომუშავება - 3 077 მგვტ. (ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა - 1 905 მლნ. ლარი).

- პრიორიტეტს წარმოადგენს თეთნულდისა და ჰაწვალის კურორტების განვითარება - ახალი სათხილამურო ტრასებისა და საბაგიროების მოწყობა.

## დაბალი, სამართლიანი და ხელსაყრელი გადასახადები

- რეინვესტირებაზე ორიენტირებული მოგების გადასახადი - 0% ან 15%;
- საშემოსავლო გადასახადი - 20%;
- დამატებული ღირებულების გადასახადი -18%;
- ქონების გადასახადი - 1%; (შესაძლებელია გადასახადისგან სრულად გათავისუფლება)
- იმპორტის გადასახადი - 0%, 5% ან 12% ;
- დივიდენდი – 5%.
- საპენსიო შენატანი - 6% (2% დამსაქმებელი; 2% დასაქმებული, 2% სახელმწიფო)

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები 55 ქვეყანასთან.

მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება სარგებლობს საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ დაწესებული შეღავათებით; შეღავათები ვრცელდება მოგების, ქონების, საშემოსავლო გადასახადებზე;

| მოსაკრებელი/გადასახადი | ოდენობა |
|---|---|
| ელექტროენერგია | 0,210830 კვტ/სთ |
| წყალმომარაგება | 3,37 ლტ. |
| ნარჩენების მართვის მოსაკრებელი | 2 ლარი |
| წყალანირები | 0,93 ლ./კუბ. |
| მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული მოსაკრებელი | 1კვ.მ - 2 ლარი |

# მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებებში ბიზნესის კეთების უპირატესობები

მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება სარგებლობს საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ განსაზღვრული მაღალმთიანი სტატუსით და დაწესებული შეღავათებით

- მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე ბიზნეს ორგანიზაციებს შეღავათები აქვთ მოგების, ქონების, საშემოსავლო გადასახადებზე.

| გადასახადის სახე | შეღავათი |
|---|---|
| საშემოსავლო გადასახადი | ფიზიკური პირი 6000 ლარამდე გათავისუფლებულია |
| მოგების გადასახადი | გათავისუფლებულია 10 წლით |
| ქონების გადასახადი | სრულად გათავისუფლებულია |

## მესტიის არსებული ბიზნეს სუბიექტები

ბიზნეს სუბიექტებისა და ინვესტიციების ზრდის დინამიკა;
სასტუმრო და კაფე/ბარის ბიზნესის სასოფლო
დასახლებებში განვითარების ტენდენცია და
აუთვისებელი პოტენციალი
ვითარდება ხე-ტყის უნარჩენო წარმოების მიმართულება

### მუნიციპალიტეტში 387 აქტიური ეკონომიკური სუბიექტი ფიქსირდება

ფუნქციონირებს 43 მაღალი ან საშუალო დონის და
600-მდე საოჯახო სასტუმრო;
24 რესტორანი და 45 კაფე-ბარი;
მცირე და საშუალო ზომის სამრეწველო საწარმოები;
ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოები: 124 სახერხი საამქრო;
სასურსათო მაღაზიები, ადგილობრივი ბაზარი,
სუვენირების მაღაზიები;
ბანკები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები და სხვა.

# ბიზნეს მხარდამჭერი სახელმწიფო შესაძლებლობები

სახელმწიფო ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციებსა და ექსპორტს

## აწარმოე საქართველოში

ინდუსტრიული მიმართულება;
სასტუმრო ინდუსტრია;
მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
გადაიღე საქართველოში;
საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი;
ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია;
ტურისტული სერვისების ინდუსტრია;

## საპარტნიორო ფონდი

მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და ხელშეწყობაზე;
კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა ეკონომიკის
პრიორიტეტულ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და ტურიზმი

## სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

შეღავათიანი აგრო კრედიტი და აგრო დაზღვევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება;
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ხელშეწყობა;
ბაღებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის მხარდაჭერა და სხვა სასოფლო სამეურნეო
საქმიანობის გააქტიურების სტიმულები.

## საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ინოვაციების შექმნის მხარდაჭერა ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის;
ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები;
ფაბლაბები - მაღალტექნოლოგიურიდანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო,
რომელიც გთავაზობთ ციფრულფაბრიკაციას.
ბიზნეს ინკუბატორი, IT ტრენინგები, ინოვაციური ბანაკი, სტარტაპ საქართველო
და სხვა წარმატებული პროექტები.

# განხორციელებული ინვესტიციები და სახელმწიფო მხარდაჭერა

- **იზრდება მცირე და საშუალო ზომის ჰესების მშენებლობის ინტერესი**
  დაგეგმილი და ინვესტორებთან შეთანხმებულია 17-მდე ჰესის მშენებლობა.

- **სასტუმრო ბიზნესი მზარდია და აქტუალობას არ კარგავს**
  ბოლო წლებში მესტიაში აშენდა 3 მაღალი დონის სასტუმრო და 300-მდე დაბალბიუჯეტიანი სასტუმრო.

- **განხორციელდა და მიმდინარეობს „მერძევეობის განვითარების პროგრამა“**

# სახელმწიფო სერვისები ბიზნესისთვის

ბიზნესის წამოწყებისა და ოპერირებისათვის საჭირო სერვისები ხელმისაწვდომია ადგილზე იუსტიციის სახლი;

ერთი ფანჯრის პრინციპით სამოქალაქო და საჯარო მიმართულების სახელმწიფო სერვისების მიღება;

ბიზნესის და ქონების  რეგისტრაცია,  სააღსრულებო და საარქივო მომსახურებების მიღება, ონლაინ სერვისები და სხვა.

## სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

ინფორმაცია სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერილი პროექტების შესახებ;
კონსულტაცია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სფეროში

# საქართველოში ინვესტირების უპირატესობები

- ქვეყანა, სადაც ევროპა ხვდება აზიას;
- წვდომა 2,3 მილიარდიან ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე;
- ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA;
- მე-7 ადგილი ბიზნესის კეთების რეიტინგში - პირველი ევროპის ქვეყნებიდან;
- მე-6 ადგილი უსაფრთხო ქვეყნების სიაში;
- სამუშაო ძალისა და კომუნიკაციების დაბალი დანახარჯები;
- მარტივი და დაბალი საგადასახადო ტვირთი სახელმწიფო შეღავათებითა და ბიზნესის წახალისების ინსტრუმენტებით;
- ქონების გადასახადი - არ აღემატება 1%-ს;
- ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ხელმოწერილია 33 ქვეყანასთან, ქვეყანა 1992 წლიდან წევრია ICSID შეთანხმების.

## დამატებითი ინფორმაცია:

საინვესტიციო გარემო და შესაძლებლობები საქართველოში (2019):
http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cadb10264501-1-PRINT-Master-2019-small.pdf

## სასარგებლო ბმულები

| | |
|---|---|
| **InvestIn Georgia** | investingeorgia.org |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | www.economy.ge |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | www.mof.ge |
| გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | www.mepa.gov.ge |
| საქართველოს რეგიონგნული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრი | www.mrdi.gov.ge |
| საპარტნიორო ფონდი | www.fund.ge |

### საინფორმაციო წყაროები


მესტიის მუნიციპალიტეტის კონტაქტი:
www.mestia.gov.ge
ქ. მესტია
მის: სეტის მოედანი N1
595 08 95 30
gamgeobamestia@yahoo.com